საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 5000 მან.

№ 153

სამშაბათი, თებერვლის 21

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

პარტიული ამხანაგები და მეგობრები ამით აცხადებენ, რომ თებერვლის 17-ს საღამოს 10 ნახ. საათზე გარდაიცვალა სოც. ფ. პარტიის დამაარსებელი საქართველოში, ცნობილი რევოლუციონერი,

**სილიბისტრო ბესარიონის ძე**

**ჯიბლაძე**

დასაფლავება დანიშნულია ხუთშაბათს, თებერვლის ოცდა სამს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათ. გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ანასტასიევის ქუჩა № 13). დაკრძალვა დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე

141

ნათესავები ამხანაგები და მეგობრები ამით აცხადებენ რომ თებერვლის 17 ს საღამოს 10 ნახ. საათზე გარდაიცვალა სოც.-ფედ. პარტიის დამაარსებელი საქართველოში, ცნობილი რევოლუციონერი,

**სილიბისტრო ბესარიონის ძე**

**ჯიბლაძე**

დასაფლავება დანიშნულია ხუთშაბათს, თებერვლის ოცდა სამს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ანასტასიევის ქ. № 13) დაკრძალვა დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე.

145

## საფინანსო პოლიტიკა

2.

### სასურსათო გადასახადი.

ერთ უმთავრეს მნიშვნელობას ფულის ვალვაცია, რომ ვაწმრმოვლოთ აქიოს მიმართულებით შეადგენს გადასახადის პრობლემა. საჯარო უფლება, რომლითაც აღჭურვილია სახელმწიფო სარგებლობს სავსებით იმიტომ, რომ თავის რაციონალ ფისკალურ ინტერესებს დაუმორჩილოს მოქალაქეთა მეურნეობრივი აპარატი. გადასახადი უეჭვო საშუალებათაგანია ამ მიზნის მისაღწევად.

გადასახადთა სისტემას უმთავრესი საფუძველი უნდა ავღნიშნოთ: რამდენადაც ეკონომიური ლიბერალიზმი ტარდება ცხოვრებაში, იმდენად იზრდება სახელმწიფოებრივი ყურადღება გადასახადებისადმი და ისე პირიქით, ფართო მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია იწვევს გადასახადების შემცირებას და იგი კარგავს უმთავრეს როლის შესრულებას.

ეს დებულება საფინანსო მეცნიერების ანბანია. რუსეთში, სადაც ძველი საფინანსო სისტემა დაინგრა მან გამოიწვია აგრეთვე გადასახადის მთელი სისტემის დანგრევა. ეგრეთ წოდებული „რაზვიორსტკა“, ესე იგი, სურსათის განაწილებითი პრინციპით გაწერა და აკრეფა ბუნებრივი შედეგია ისეთ სახელმწიფოსათვის, რომელსაც ფულის სამეურნეო წესი არ გააჩნია და მთელი ქვეყნის მეურნეობას აწარმოებს უმთავრესად ნატურალურ დირებულებათა გაცვლა-გამოცვლით.

ნატურალური მეურნეობის პოლიტიკა პატრიარქალური პოლიტიკაა, რომელსაც ზულუსები და სენეგალები დღესაც მიმართავენ უმთავრესად. კულტურულმა კაცობრიობამ იგი სრულიად არ იცის, ან იცის მეტად იშვიათ შემთხვევაში. პრუსიელი ან ბრიტანელი ევროპიელი ვერაფერს გაიგებს მათ რომ გზების კეთება და არხების გაწმენდა ბეგარით დააკისროთ. რუსეთში საფინანსო კულტურა არ მისულა ევროპიულ ინტენსიფიკაციის ზომამდე და ნატურალურ გადასახადსაც საკმაო გასავალი ჰქონდა. მაგრამ ეს ბეგარა უმთავრესად ადგილობრივი საჯარო უფლების ორგანოების ხელში იყო მნიშვნელოვანი. საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბში იგი იშვიათ კორექტივის და პალიატივის როლს თამაშობდა.

„რაზვიორსტკა“ დღეს რუსეთში მოსპობილია, მაგრამ თუ ჩვენ მაინც მივაპყრობთ ყურადღებას უკვე უარყოფილ სამეურნეო წესს, ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენს წინაშე არსებობს ნატურალური გადასახადი, რომელსაც პრინციპიალურად დიდი ნათესაური კავშირი აქვს „რაზვიორსტკასთან“ და რაიც არა ნაკლებ მიუღებელია საფინანსო კულტურის თვალსაზრისით, ვიდრე „რაზვიორსტკა“.

როგორც „რაზვიორსტკა“, ისე „პროდნალოგი“ გასამართლებელია მხოლოდ რუსეთის კონკრეტულ და ისტორიულ პირობათა გამო. მსოფლიოს სრულიად მოწყვეტილი, ბლოკადის პირობებში ჩაყენებული რუსეთს მართლა არ შეეძლო ემისიასა და მისი ნაშთების მობილიზაციაში დაენახა ხსნა, როცა ჯარი, სახელმწიფო და ქალაქები უამრავ ნახშირს, პურს და ხორცს მოითხოვდნენ. ვიმეორებთ, კონკრეტულს პირობებში „რაზვიორსტკასა“ ქონდა naison d'être.

დღეს ეს მდგომარეობა ძირიანად შეცვლილია და ფიქრიც არ შეგვიძლიან „რაზვიორსტკაზე“. კიდევ მეტი, „რაზვიორსტკა“-ს ნაბოლარა „პროდნალოგიც“, რაც შეიძლება მალე უნდა გავაძევოთ ჩვენს შემეცნებიდან და ხელი მოვკიდოთ მტკიცე, ჯანსაღი საფინანსო პოლიტიკას.

ჩვენ არ ავუმხედრდით კომუნისტებს „პროდნალოგის“ გატარებაში საქართველოში. ჩვენს პარტიულ ძალებს ეხლაც ვავალებთ დაწყებული კამპანია როგორმე დაამთავრონ და ჩაატარონ. ამ პოლიტიკაში კი ჩვენ, საქართველოს კონკრეტულ პირობებში, ვხედავთ მხოლოდ დიდ უმეცრებას, რომელშიაც იოტის ოდნავ არა სჩანს ფხიზელი აზრის შემოქმედება.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ „პროდნალოგის“ კამპანია საქართველოში პირველი და უკანასკნელი მხოლოდ სამწუხარო საზარალო ექსპერიმენტია. რუსეთში თუ შეუძლებელი იყო ერთბაშად „რაზვიორსტკიდან“ ფულის სისტემაზე გადასვლა, საქართველომ სრულიად არ იცოდა რას ნიშნავდა „რაზვიორსტკა“, ხოლო ბოლშევიკების შემოსვლისას საქართველოს ნავთსადგურები ივსებოდა ყოველგვარი უცხოეთის საქონლით—დაწყებული ფქვილით და გათავებული სურნელოვან პროდუქტებით. ასეთ კონკრეტულ პირობებში სასურსათო გადასახადი, ქათმის კვერცხების თვლა და გოჭის ხორცის ანგარიში, რომელიც ჩვენს ხალხს არც ესმის და არც არასოდეს შეიგნებს, დაუშვებელი „მუშაობაა“. რომელსაც მხოლოდ ზიანი და ვნება მოაქვს ჩვენი ქვეყნისათვის. „პროდნალოგს“ ადგილობრივ სასურსათო საწყობების დაცლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ საქმეში უარყოფითი მომენტების მეტი არაფერია დადებითი. ჩვენი მორიგი ეკონომიური ამოცანაა: იქნება ეს საგარეო ვაჭრობით თუ სამეურნეო საშინაო ცხოვრების გაცხოველებით — ჩვენი სოფლის ბედლები უნდა გავავსოთ სურსათით, ვიდრე სიმშილის ნიშანწყალსაც არ მოვსპობთ, მანამდის ჩვენს გაჯანსაღებაზე და განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ღატაკი ქვეყნის და მათხოვარ ხალხის კომუნიზმი ყინვაზე დაწერილი თამასუქია, რომელსაც არა თუ არსებითი შედეგი არ მოსდევს, ხსენებაც კი ქრება სამუდამოდ.

პროდნალოგის კამპანია ფინანსიურის თვალსაზრისით კიდევ უფრო მიუღებელი და დაუშვებელია. გვინდა თუ არა ჩვენ ფულის სისტემა მივიღოთ და ფული გვქონდეს? თუ ფული გვინდა, მაშინ სავსებით უნდა დავუმორჩილდეთ ფულის ბრუნვის წესებს.

სასოფლო სამეურნეო ქვეყნებში სახელმწიფოს უმთავრესი შემოსავალი მოდის არა ქალაქიდან, არამედ სოფლებიდან. სწორედ ეს უმთავრესი წყარო ფულის შემოსავლისა ჩვენ ფულისათვის დახშული გვაქვს და არსებითად სოფელს ვეუბნებით: ამხანაგო, გუშინ ფული მოგიტანე, ჭრელ-ჭრელი და ლამაზი ქაღალდები, ის ჯიბეებში ჩაიწყვე, სკივრებში ჩაკეტე, მე კი ხორბალი, ხორცი და ერბო-კვერცხი გამომიწყვეთ.

რას ნიშნავს ეს? ფინანსიურის თვალსაზრისით ეს ნიშნავს ფულების ნაწილობრივ ნულიფიკაციას და ამიტომაცა, ვიდრე „პროდნალოგები“ არსებობენ, ზღაპარი და ოცნებაა ლაპარაკი რაიმე სტაბილურ კურსის მიღწევაზე. რა შეხედულების უნდა იყოს ხალხი ფულზე, როცა სახელმწიფო თავისავე ფულს გადასახადებშიაც არ იღებს და ისე სძულს იგი ფული, რომ მზად არის მთა-ღრეების სოფლებშიაც გზავნოს თავისი აგენტები, ატრიალოს სოფლებში, მოახდინოს კვერცხების რეგისტრაცია და ნახევრად შემპალი მჭადი მოიგდოს ზურგზე და რომელიმე სასურსათო საწყობში მოათავსოს, სადაც ვინ იცის, რამდენი ვირთხები თუ ვირთხის მაგვარი ადამიანები გთაცლიან სინსილას. რამდენად აუტანელი, მძიმე, ტლანქი და საზარალოა ეს „პროდხალოგის“ აპარატი? მაგრამ ჩვენ ყოველივე ამ სიბნელეს ვლახავთ, ოღონდ ჩვენ მიერ გამოჭედილ ფულებიდან თავი დავიხსნათ! მართლაც, რომ საკუთარ ფულისადმი ასე უნდა სამსახური!!

არა, ძველი მიმართულებით მუშაობა შეუძლებელია. საკუთარ ფულს სახელმწიფო კი არ უნდა გაურბოდეს, პირიქით, განსაკუთრებით მისდევდეს, ელოლიავებოდეს ყოველმხრივ და უამრავ ბადეებით ცდილობდეს მის ხელში ჩაგდებას, რომ ფულის ცირკულიაციის ნამდვილი ბატონი შეიქნეს.

ჩვენთვის არ არსებობს არავითარი სხვა საზომი ფინანსების დარგში. „პროდნალოგებით“ ჩვენ ვსპობთ არა მარტო ჩვენი ფული სისტემას, კიდევ მეტი, ელემენტარ სამართლიანობასაც არ ვიჩენთ ამ საქმეში. რა დააშავა გლეხმა, რომლიდანაც ფულებს არ ვიღებთ და რა იმდენი სამსახური გაგვიწია ვაჭარმა, რომ მის ფართალს, რკინას და შუშას ხელს არ ვკიდებთ და მოძულებულ ფულებს მისგან სიამოვნებით ვკრებთ. მე კიდევ მესმის „პროდნალოგი“ ქალაქში, სადაც ტერიტორიაც მცირეა, სათანადო საწყობები და აპარატი არსებობს, მაგრამ სრულიად არ მესმის იგი სოფლად. ჩვენში კი ყველაფერი თავდაყირადაა დაყენებული. ეს პოლიტიკა უეჭველად უნდა შეიცვალოს საწინააღმდეგო პოლიტიკით და ჩვენ უშიშრად, გაბედულად შეუდგეთ ჩვენი ფულის სამსახურს.

„პროდნალოგის“ სისტემის უარყოფა გენერალურ ცვლილებას შეიტანს ჩვენს ეკონომიურ და საფინანსო ცხოვრებაში. იგი სისტემა ჩვენ უნდა შევსცვალოთ ერთიანი (ЕДИНЫЙ) სახალხო გადასახადით, რომელიც ოქროთი იქნება განსაზღვრული და აღებული მხოლოდ და მხოლოდ იმ ერთად ერთი ნიშნებით, რომელიც იქნება ჩვენს ხელში. ეს გამოიწვევს ჩვენი მანეთის სტაბილიზაციას, შეაჩერებს ემისიას, მოხდება დიდი ეკონომია შრომის, მასალების, ფულების დავთარი დაგვემორჩილება, ჩვენ ვიქნებით მისი ნამდვილი ბატონ-პატრონი და გაგვიადვილდება მთელი ცხოვრებაც. ჩვენ მილიონები კი არ გვინდა, არამედ კაპეიკები და აბაზები! ჩვენ უნდა ვაქციოთ ჩვენ ბონებიდან ქაღალდის ფულის ვალიუტა. არა დევალვაცია და ნულიფიკაცია, არამედ ვალვაცია და კურსის სტაბილიზაცია — აი ჩვენი გზა, ფინანსიური დევიზური პოლიტიკა. ეს აგვამაღლებს ჩვენ პოლიტიკურად, ფინანსიურად და შეგვიქმნის იმ მდგომარეობას, რომ მეზობელ სახელმწიფოებში საფონდო ბირჟამაც აღნუსხოს ქართული ფულის ღირებულება. დღეს კი ამ ჩვენს ფულს უცხოეთში ყველგან დასცინიან და აბუჩად იგდებენ! ეს მდგომარეობა უნდა მოვსპოთ უეჭველად, ეს ჩვენ შეგვიძლიან, ეს უნდა ვქმნათ. მტრებს ვაგრძნობინოთ, რომ საქართველო არსებობს, რომ მას ფული აქვს შესაფერისი ღირსეული, თუმცა პატარა ქვეყნისა.

თედო ღლონტი.

## Post hoc, ergo propter hoc

მეშჩანიზმის დამახასიათებელი თვისება არის არა მარტო შიში და მხდალობა ყოველივე ახალისა და მოძრავი ცხოვრების ტალღების წინაშე. მას ახასიათებს თავისებური ლოღიკაც, რომლითაც იგი თავს თუ ვერ იფარავს საბოლოვოდ სოციალური განვითარების კანონებისაგან, ცდილობს მაინც შეინარჩუნოს რაც შეიძლება ხან-გრძლივად თავისი მდგომარეობა.

უმთავრესი დამახასიათებელი ბუნება ამ ლოღიკისა გამოიხატება იმაში, რომ ის არის წვრილი და მოვლენებზე სჯის მოჩვენებითი, გარეგნული ეფექტით. არასოდეს კონკრეტი ფაქტის ანალიზი და მიზეზობრივი კავშირის ძიება ამ ფაქტისა და სოციალ განვითარების კანონების შორის არ ახასიათებდა მეშჩანურს ლოღიკასა და საზოგადოთ მის გონებრივ ფსიხიურ სამყაროს.

ამიტომ არის, რომ „ობივატელურ“ მსჯელობას აკლია სიღრმე და სიმძიმე მეცნიერული შეფასებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების მომენტების სათანადო დიაგნოზის დასმისა. ასეთი ლოღიკით და ასეთივე კილოკავით მეტყველებს არა მარტო ჩვენი „საზოგადოება“, მისი „მეწვრილმანური“ ნაწილი, არამედ ჩვენი პოლიტიკურ-სოციალ ვითარებაზე განსაკუთრებული პრეტენზიების განმცხადებელნი—მემარჯვენე პარტიებიც კი.

უკვე ერთი წელიწადია, რაც საქართველოში ბოლშევიკური ძალა-უფლება დამყარდა და დღემდის ჩვენს „საზოგადოებას“ არ გამოუცვლია ის დამახინჯებული მეთოდი ისტორიული ფაქტის შეფასებისა, რომელიც მან მიიღო სახელმძღვანელოდ კრიტერიად კომუნისტური ძალის შემოსვლის დღიდან.

საბჭოთა სისტემის ორბიტრში მოქცევით პატრიოტებმა ერმა კვლავ თითქოს დაგვანახვა, რომ იგი ახალგაზრდული სულით და შემოქმედი ენერგიით არის შეპყრობილი; რომ მისთვის და მისი ძალისათვის ასატანია და ამიტომ მისადებიც ნორჩი სოციალ ეკონომიკის ეკლიანი ბილიკი. რომ ეკლიანი და მრავალ ტკივილების გამომწვევია თავხედური დევიზი არსებულ საზოგადოებრივ ურთი-ერთობის ძირითად შეცვლისა ადამიანთა დამოკიდებულების ახალი სოციალი ფორმით, — ამას მტკიცება არ სჭირია საქართველოში გონიერი ადამიანისათვის. სოციალური რევოლუციის გრიგალმა ერთიანად წალეკა მრავალი ხავს მოკიდებული წარმოდგენა— ტრადიციები, რომლითაც საზრდოობდა კაპიტალისტური კულტურა და მის გამოფიტულ ბედელთან სულიერ-ხორციელად დაკავშირებული ბურჟუაზიული საზოგადოება.

ახალი სინამდვილის გზნებულმა თავდასხმამ შეარყია შეხედულებანი საკუთრებაზე, ოჯახზე, სარწმუნოებაზე და სხვ. იმდენად, რომ მისი ბურჯი და ყავარჯენი — ლიბერალური წრეების ზოგიერთი ნაწილიც კი, იჭვით უყურებს კაპიტალისტური მეურნეობის აწმყო ბედს და ფატალური აუცილებლობით ურიგდება მყობადის ულმობელ განაჩენს.

ამ სოციალ—ეთიკურ დრამას, თუ განიცდის დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია რევოლუციის მოლოდინში, მით უფრო საგრძნობი იქნებოდა რევოლუციის განადლებული პროცესი წვრილ მესაკუთრეთა და მეშჩანური ავლა-დიდების ქვეყანაში. მდორე ცხოვრებისა და აზროვნების მქონე ქართველმა „ესა

ზოგიერთმა საკმაო ჭრილობანი მიილო საბჭოთა მექანიზმის დამყარებით საქართველოში. მაგრამ ეს ჭრილობანი მით დაშუშდება, რომ ეს ჩვენი „საზოგადოებაც" ისე, როგორც რუსეთის ხალხი, შეეგუება და შეეზრდება საბჭოთა მმართველობას საქართველოში.

მაგრამ არის ერთი განსაკუთრებული ჭრილობა, რომელიც არსებული ძალაუფლების დამყარების შემდეგ გაღრმავდა, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება იგი დავსახოთ მის ბუნებასთან მიზეზობრივად დაკავშირებულ მოვლენად. ეს ჭრილობა აუცილებლად ეროვნულს საკითხს ეხება და ჩვენი ვალია მისი მიზეზების გამოკვლევით მალამო მოვსცხოთ ქართველი მშრომელის ავადმყოფ ეროვნულს სულსა და გულს.

ჩვეული სახელმწიფო დაწესებულებებმა, პარტიულ-საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაჰკარგეს ქართული ელფერი, ეროვნული თავისებურობა—ეს ბოლშევიზმის უშუალო ბრალია—ჩასჩიჩინებს ხალხს პოლიტიკური ანგარიშით გამოქვეყნებული მემარჯვენე ელემენტები.

მართლაც, ვინც არ იცნობს ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ ჯგუფთა ფიზიონომიას, მათი ძირითადი პოლიტიკური credo-ს და საზოგადოებრივს სარბიელზე მათ ქცევას, ადვილად მოტყუვდება და გაუგებრობის მსხვერპლი გახდება. გარეგნულად ბევრი კონკრეტი ფაქტი დაადასტურებს მარჯვენა ფრთიდან წამოყენებულს ბრალდებას: თქვენ ნახავთ ბევრს დაწესებულებას, საიდანაც ქართული ენა ჩვეულებრივ ხმოვანად და გასაგები კილოთი არ ისმის და მთელი საქმის წარმოება არა სახელმწიფოებრივ ენაზე მიმდინარეობს. ეს კი თავისი მხრივ გამოწვეულია იმ გარემოებისაგან, რომ საბჭოთა მრავალი სახელმწიფოს თანამდებობაზე უკავია ქართული ენისა და კულტურის არ მცოდნე და ამიტომ ისეთ დაზოგვლებს პირებსაც კი, ვინც ჩვეული არ არის მოვლენას მთელი სიღრმე სიგანით ანალიზი გაუკეთოს, ვისთვისაც მოვლენის ზედა პირიც კი საკმარისია საბოლოო მსჯავრის გამოსატანად, ის სრულ ქეშმარიტებად ადვილად უნდა მიზეზობრივ კავშირის ასეთი პოლიტიკური სიტუაციის არსებობისას ბოლშევიკურ-კომუნისტურ შეხედულებასთან და საზოგადოდ ადვილად იწამებს, რომ ბოლშევიზმი რუსული შოვინიზმია, რუსული ნაციონალისტური დიდების ნაკადია, რომ იგი ქართული ორიგინალის წარმოშობის ძალით არის ძოვლინებული.

ეს მეთოდი მაჯელობისა მეშინებური მასისათვის, უფლოული, წვრილ-მესაკუთრული ფსიხიკისათვის ადვილი მისაღებელია და გასაგებიც. Post hoc, ergo propter hoc—ყოველთვის მასის გონებისათვის მსუბუქად გადასაწყვეტი ლოგიკა იყო; ამიტომაც პოლიტიკურ პარტიებს ისტორიულ სარბიელზე არა ერთხელ მიუმართავს ამ ხერხისათვის: ამის შემდეგ, მაშასადამე ამის გამო—ეუბნებიან ჩვენი მემარჯვენენი მასსებს: ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ გაძლიერდა სამეურნეო კრიზისი, ეროვნული სახელმწიფო და მთელი მისი აპარატი ეროვნულს ფიზიონომიას ჰკარგავს, მაშასადამე ყოველივე უბედურებანი ბოლშევიკების გამო გვატყდება თავს ე. ი. რაც ხდება, მიზეზობრივად უკავშირებდება წინსწრებულ ფაქტს—გვიხსნიან მემარჯვენე პარტიები.

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი მოწინააღმდეგენი იჩენენ მასსის ფსიხიკის და საზოგადოდ მის სულიერი რხევის საკმაო ცოდნას; ამით აიხსნება, რომ ჩვენი მეცნიერულად მომზადებული „სოციალისტებიც" კი ასეთი ზერელე და ფუქსავატი ლოღიკით ებრძვიან ტრადიციის საფუძვლებზე მდგარ რევოლუციონერებს.

თორემ ვინ დაიჯერებს, რომ მენშევიკ-მემარჯვენე ფედერალისტებს არ ესმოდეს ღამღუპველი მნიშვნელობა ეროვნული თვალსაზრისით იმ გამოსვლებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ინტელიგენტურს წრეებში უკანასკნელს ხანებში და რომელსაც აუცილებლად მიზნად აქვს ფართო მასსების ჩათრევა ქართული საბჭოთა სახელმწიფოს წინაღმდეგ?

დღეს საბჭოთა სისტემის ნიადაგზე მდგარი ქართული პარტიები სცდილობენ მშრომელი მასსების სრულს მიკუთვნებას და თავის მხარეზე ადგილობრივი ძალების საჯსებით გადაყვანით ქმნიან ფასაყრდენ ბაზას მომავალი სახელმწიფოებრივ—რევოლუციონური შემოქმედებისათვის. ეს კი არსებითად იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასი ეძიებს საშუალებებს, რათა რევოლუციონური სახელმწიფო, იმავე დროს, ეროვნულ სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებებით იყოს უცილებლივ შემკული.

მაგრამ საქართველოს რევოლუციონური მშათა კლასის ამ sancta sanctorum-ის ტენდენციას უპირისპირდება ჩვენი მემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკა, რომელიც თავის შედეგებით ანტიეროვნულია და უიდრესად დამახასიათებელი ჩვენი ეროვნული სხეულის.

დაუტოვე რუსალი საბჭოთა საქართველო და შეუდექი ქიმერულ, ანტანტის მოხათესავე ქოროდახიას საქართველოსო—უმტკიცებს თავისი გამოსვლებით სინამდვილეში ერ ვნულ ლიანდაგიდან გადავარდნილი ქართველი ინტელიგენცია ჩვენს უპარტიო და უფერულს მასსებს. და სრულიად სამართლიანი იყო ამხ. ღლონტის მტკიცება, რომ ამ ჟამად საქართველოს პირობები ისე მოეწყო, რომ კომუნისტური პარტია ობიექტიურად ეროვნულს ნიადაგზე სდგასო. თვით ფაქტი, რომ მმართველს პარტიას სურს ადგილობრივ ძალებზე დამყარებით მიჰმართოს თავისი მუშაობა, არკვევს ძირითად ტენდენციას ბოლშევიკებისას.

მაგრამ თუ ამისდამიუხედავად ჩვენი დაწესებულებანი, ჩვენი საქმიანობის ყოველი უჯრედი არ ატარებს ეროვნულს ნიშანს და ნაციონალურს სულს, ამის ერთი მიზეზთაგანი. ბრძანდებიან ისინი, ვინც გულს უცრუებენ ქართველ ელემენტებს, რომ იგი დაუახლოვდეს თავის სახელმწიფოს და გააკეთოს თავის ხელებით ის, რაც იძულებით კეთდება დღეს უცხოელების დახმარებით.

რადა თქმა უნდა, ჩვენგან ამ მიზეზის დასახელება, არ გულისხმობს ბოლშევიკების იმ კონკრეტ დეფექტების აღნუსხვის უარყოფას, რომელსაც ჩვენ ვალად ვიდებდით დღემდის და მომავალშიაც განვაგრძობთ.

ჩვენ კარგათ ვიცით და არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ კომუნისტებმა თავისი მოღვაწეობის დროს დიდი შეცდომები დაუშვეს, რომ ეროვნულს საკითხში ეს შეცდომები განსაკუთრებით ძლიერია. მაგრამ ჩვენი, ეროვნული ტკივილი მარტო ამ ფაქტით არ ამოიწურება, აქ ბრალი სხვასაც ედება თავიანთი შეუფერებელი პოლიტიკის გამო.

ჩვენ გვინდა უთხრათ მემარჯვენეებისაგან მოწამლულ ქართველ ხალხს, რომ მთავარი მიზეზი შენი ეროვნული ჭრილობისა არ არის მხოლოდ ის ფაქტი, რომელზეც შენ მიგითითებენ ჩვენი ლებრივ. თუ დღეს შენს ტრიბუნაზე არ გაისმის ქართული ენა და მაშასადამე არ ვითარდება ქართული ლექსიკონი, ამის ერთი მიზეზთაგანია ის ჯგუფებიც, ვინც შენ ამ ტრიბუნიდან ჩამოგიყვანა, ან სცდილობს საჯსებით მას ჩამოგაცილოს.

ამას სჩადიოდა და სჩადის დღიდან ბოლშევიკების შემოსვლისა მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტები. ამ ჯგუფებმა დღევანდელ დაისახეს, რომ უარყოფითი ბედი დაუსვას ყოველივე ატრიბუტს საბჭოთა აღმშენებლობისას ე. ი. მათი პოლიტიკური ანგარიში პო ითხოვს საბჭოთა სახელმწიფო არ იყოს იმავე დროს ეროვნული და ამ პოლიტიკას ისინი შეძლებისდაგვარად აშკარა თუ არალეგალური გამოსვლებით გულმოდგინედ ემსახურებიან.

ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ერთი საგრძნობი მიზეზთაგანი ჩვენი ეროვნულ სნეულებისა ამ ჟამად არის მემარჯვენე ჯგუფთა პოლიტიკა და მისი გავლენა საბჭოთა სახელმწიფოს აპარატზე, ამით აიხსნება ჩვენი შეურიგებელი ბრძოლა იმ მეთოდის წინააღმდეგ, რომელიც სოციალ ძალთა შეფასების დროს გამოდის მხოლოდ გარეგნულ, მოჩვენებითი ფაქტიდან, არ ითვალისწინებს მოვლენის სიღრმესა და რეალ მიზეზებს.

მართალია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მესვეურნი არიან იმავე დროს პასუხისმგებელნიც ქართველი ერის დღევანდელი ვითარების გამო მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ფორმალურად ამ პასუხისგებას მოცილებულს პოლიტიკურს ჯგუფებსაც დაუბრუნებენ პასუხისგება ქართველი ერის წინაშე, ვიდრე ეს მათ და მათ ავანჩავნებს ეჩვენებათ.

ჩვენი მოვალეობაა ყოველ დღე ნათელვყოთ უაზრობა და ულოღიკობა იმ მეთოდისა, რომლითაც უნდათ აუხსნან ჩვენს ხალხს თანამედროვე მომენტი და მასში მომქმედ ძალთა პოზიცია: Post hoc, ergo propfep hoc „ამის შემდეგ, მაშასადამე ამის გამო"—ჩვენგან საბოლოოდ დასამარებულ და უვარგისს ლოღიკურ ხერხად უნდა იქნეს გამოცხადებული.

ეფ. ხაჩინოვლი.

## ყოფილ ამხანაგებს,

უკანასკნელი ბარათი.

თქვენ რევოლიუციონერები იყავით. ზოგიერთთა თქვენს სიტყვას, თქვენა კალამს არა ერთხელ მოუყვანივართ ჩვენ აღტაცებაში, თქვენ მოწოდებას არა ერთი და ორი ახალგაზრდა განუმზადებია ბრძოლის სამსხვერპლოზე რევოლიუციის გასამარჯვებლად შვირაკად თავისი სიცოცხლის მისატანად. თქვენ თითონაც იბრძოდით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და უშიშრად მიდიოდით ციხეში და ციმბირში, რათა ამით რევოლიუციისათვის სამსახური გაგეწიათ. თქვენ ჩვენ გვასწავლიდით ერისა და მშრომელი მასსისათვის სამსახურს. თქვენ სასაცილოდაც არ გყოფნიდათ ს. დემოკრატების მტკიცება იმის შესახებ, რომ სოციალიზმი მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, როდესაც მთელს ქვეყანაზე მოხდება კაპიტალის კონცენტრაცია და მშრომელი მასსის პროლეტარიზაცია, თქვენ სასაცილოდაც არ გყოფნიდათ ს. დემოკრატების მტკიცება, რომ ეროვნული თავისუფლება მხოლოდ სოციალიზმის დამყარების შემდეგ შესაძლებელი, თქვენ აკრიტიკებდით ს. დემოკრატებს, რომ იგინი სოციალიზმის დამყარებისათვის უეჭველად სთვლიდნენ კერძო კაპიტალის უმწვერვალეს წერტილამდე განვითარებას და გვასწავლიდით ჩვენ, რომ საჭირო იყო რუსეთში რევოლიუციის გამარჯვებისათვის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სოციალისტური ელემენტების შეტანა, ასეთ ელემენტებად თქვენ მიგაჩნდათ მიწის სოციალიზაცია, ზოგი და სხვა საწარმოვო დარგების გასაზოგადოებრივება და სხვა ასეთები. სხვა გზით თქვენ ყოვლად შეუძლებლად მიგაჩნდათ რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება. თქვენ უზარმაზარ რუსეთის მრავალრიცხოვან ერებისათვის ერთად ერთ სასურველ და საჭირო სახელმწიფოებრივ ფორმად მიგაჩნდათ თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი ე. ი. ფედერაცია, თქვენ გვასწავლიდით, რომ რუსეთის ცხოვრება აქეთკენ მიიმართება და ამიტომაც იყო, რომ თქვენც დაირქვით და ჩვენც დაგვარქვით ფედერალისტები. და დღეს, როდესაც ჩვენ რუსეთის რევოლიუციის [illegible] ზოდების წინაშე ვდგევართ, დღეს როდესაც ჩვენ შევიძლია [illegible] განვლილ [illegible] ციის [illegible] ბების [illegible] დავსწონით ის აზრები, რომლებსაც ჩვენ გვინერგავდით, ნება გვიბოძეთ გკითხოთ, როგორი აღმოჩნდა თქვენი პროგნოზი რუსეთის რევოლიუციის მიმართ?

ჩვენ არ ვიცით თუ რას გვიპასუხებთ თქვენ ამ კითხვაზე, მაგრამ ჩვენ თქვენი ყოფილი მოწაფეები, მადლობის გრძნობით აღსავსენი, გეუბნებით, რომ თქვენ მართალნი გამოდექით და უმთავრესი დებულებანი თქვენგნით რუსეთის რევოლიუციის მსვლელობის შესახებ რევოლიუციის დაწყებამდის წამოყენებული ცხოვრებამ და რევოლიუციამ გაამართლა და ყველა ისინი, ვინც ამ დებულებათა წინააღმდეგ წავიდა ცხოვრებისაგან კისერ მოგრეხილები შთაინთქა რევოლიუციის ტალღებში. აღმოჩნდა რომ სოციალიზმისათვის საძირკვლის ჩასაყრელად სრულებითაც საჭირო არ არის კაპიტალიზმის უმწვერვალეს წერტილამდე განვითარება, არამედ საკმარისია ორგანიზაციულად შეკავშირებული და იდეურად გაწვრთნილი მტკიცე ნების ყოფაი ყოფის მატარებელი პროლეტარიატისა და მშრომელ მასის სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება. აღმოჩნდა რომ რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამყარების ექსპერიმენტებს ვერ შეურიგდებოდა და მოითხოვდა სახელმწიფოებრივ წყობილებაში სოციალისტურ ელემენტების შეტანას. აღმოჩნდა, რომ რევოლიუცია ეროვნულ ჩაგვრას ვერ შეურიგდებოდა და ყველა იმათ, ვინც ეროვნებათა თავისუფლების წინააღმდეგ წავიდოდა, მისგან დ[illegible]ნებლივ გა[illegible]რიყებოდა.

რასაკვირველია, თქვენ [illegible] წარმოდგენის წინასწარმეტყველები არ იყავით, რომ სიტყვა-სიტყვით გაგეთვალისწინებინათ რევოლიუციის მსვლელობა და წვრიმალები გამოგერჩათ შესაძლებელია, მაგრამ ვიმეორებთ, რომ უმთავრესი თქვენი დებულებანი რევოლიუციამ გაამართლა და დღეს როდესაც ჩვენი სამშობლო ამ რევოლიუციის პროცესში იმყოფება, როდესაც ის თქვენგნით შექებულ რევოლიუციონურ სამსახურის მოითხოვს, როდესაც საქართველო სოციალისტურ აღმშენებლობის წინაშე სდგას და მოითხოვს რევოლიუციისაგან მიცემულ დამოუკიდებლობის და მშრომელთა ძალაუფლების განმტკიცებას, სადა ხართ თქვენ? სადა ხართ? რევოლიუციასთან თუ მის წინააღმდეგ?

ჩვენ გვესმის ინგლისური გემით მენშევიკების სტამბოლში გადასახლება, გვესმის რადგანაც რუსეთის რევოლიუცია მათი დაუძინებელი მტერი გამოდგა და არც ერთი დებულება მათგან წამოყენებული არ გაამართლა. ჩვენ გვე-

## რევოლიუციის მოლოდინში

(თანამედროვე სილუეტები),

**

ასეთს წარმოდგენათა ატმოსფერაში სცხოვრობს თანამედროვე ბურჟუაზიული ინტელიგენცია. მისი ფსიხიკა დაავადებულია საშინელი მოლოდინით. მეშაგდება ახალი ტიპი სკეპტიკოსებისა და იმედდაკარგულების, წარსული მისთვის დაუბრუნებელია და უიმედო, აწმყო—მიუღებელი და ქაოტიური, მომავალი—გაუხანდგურებული აუცილებლობით მოცული.

ინტელიგენცია გარკვევით ხედავს, რომ კაცობრიობა იმ ლიახდაგით მიექანება, რომელიც ბოლოს და ბოლოს მას უფსკრულში გადაისვრის. მის ხელთ არ არის არც ერთი „ტორმუზი" გაქანებულ მატარებლის გასაჩერებლად. მისი მდგომარეობა უიმედო და საშინელია, მას არ ძალუძს, ენერგია არ შესწევს მეჩერხის მძღოლი მატარებელი, რომელშიაც თვითონ ზის; მატარებელი კი აჩქარებულის გაზაშხით უფსკრულისაკენ მიექანება. ეს არის კაპიტალისტური რადილი, რომელშიაც მოიწყვდეულა მთელი ბურჟუაზიული კაცობრიობა. ამ კაცობრიობის პირმშო შვილი და „გონიერი ნაწილი"—ინტელიგენცია მთელი თავისი სიძლიერით განიცდის ამ საშინელს მდგომარეობას. ის გრძნობს, რომ კაცობრიობა დაღუპვისაკენ მიექანება, მაგრამ მას არ აქვს ძალა მის გადასარჩენად. შეგნება თანამედროვე კაცობრიობის აუცილებლად დაღუპვისა, ერთის მხრით და მეორეს მხრით, შეგნება თავისი უძლურებისა ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად, აი რა ახასიათებს თანამედროვე იმედდაკარგულ ბურჟუაზიულს ინტელიგენციას.

საინტერესოა მხატვრული ილიუსტრაცია ინტელიგენციის ასეთი სულიერი განწყობილების შესახებ. ინგლისელმა მწერალმა შერესფორდმა დასწერა რომანი ინგლისის რევოლიუციის შესახებ 1923 წ. რომელიც აუცილებლად მოხდება მისი წარმოდგენით. მეტად საინტერესოა ამ რომანის შინაარსი, მოკლედ მოვიყვან მას იმ ბიოგრაფიულს შენიშვნიდან, რომელიც „კრასნაია ნოვში" იყო მოთავსებული ეს რომანი გაქცეული შიშის გრძნობით. ბერესფორდს ეშინია რევოლიუციის, მაგრამ მან იცის, რომ იგი აუცილებლად მოხდება. გამოსავალი არსაიდ არის.

ახლაც, 1920 წ. (რომანი დაწერილია ამ წელში) პირობები საკმაოდ მომზადებულია რევოლიუციისათვის, მაგრამ თვით ინგლისის პროლეტარიატი არ არის მზად: ის არ არის ორგანიზაციულად მომზადებული და არ ჰყავს ჯერ კიდევ ახალი რევოლიუციონური ხელმძღვანელები, რომლებსაც ჩვენ ვამჩნევდით. ისინი ჯერ მხოლოდ ჩუმად მუშაობენ, მუშაობენ მუშათა წრეებში ამზადებენ მათ, აწყობენ რევოლიუციონურს ორგანიზაციებს. მათ ამშვენებს გაოდა იდეებისა და განწყობილებისა, რწმენა და ხების სიძლიერე, ისინი შეურიგებელნი არიან. ხელის, მაგრამ მტკიცე ხაზიჯით, თანდათანობით ისინი ქმნიან ძლიერეს, მრავალ მილიონიან რევოლიუციონურ არმიას, ერთი შეგნებითა და ნებისყოფით გამსჭვალულს. გმირების ფარული მუშაობა უკვე დასრულებულია. ძლიერი პროლეტარული არმია უკვე მზად არის 1923 წელს და ისინიც შეუდგებიან მოქმედებას.

მაისის მშვენიერ დილას ისინი გამოჩნდებიან ლონდონში და მთელი ინგლისის გასაგონად აცხადებენ, რომ მათ სურთ შემოიღონ ინგლისში კომუნიზმი. ისინი მოითხოვენ კომუნიზმის განხორციელებას, კერძო საკუთრების უარყოფს, კონსტიტუციონალურ მთავრობის გადადგომას, რომელიც უნდა შესცვალოს მუშათა საბჭოებმა. გაზეთებში („დეილი ჰერალდში") გამოქვეყნდება მათი თავხედური კომუნისტური მანიფესტი, მათი ჯერ არ გაგონილი კომუნისტური მოთხოვნილებანი, რომლის დაუკმაყოფილებლობა საერთო გაფიცვებს გამოიწვევს. მათ არავინ არ მოელოდა. ინგლისი შეინძრა. მაგრამ ინგლისს განაგებენ ჭკვიანი პრემიერები, რომელნიც სცდილობენ მოატყუონ მუშები, პრემიერი აცხადებს მოთხოვნილების ნაწილობრივ საფუძვლიანობას და მუშებს მოუწოდებს შეერთებულ შეთანხმებულ კომისიისაკენ. მუშები დასთანხმდნენ. კომისია მსჯელობს, ჩხუბობს, კამათობს—წლები კი მიდიან. პრემიერ-მინისტრს მხოლოდ დროის მოგება სურს თეთრი გვარდიის შესადგენად, რომლისათვისაც გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. იგი უკვე მზად არის. გორსტსი მოხერხებულად შლის „სამშვიდობო მოლაპარაკებას" და უცხადებს ომს მუშებს, გამოცხადდა საერთო გაფიცვა. ინგლისი შეინძრა. მუშები ქუჩებშია. მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს ჯარი. მაგრამ ჯარის კაცები უარს აცხადებენ სროლაზე და თავიანთ თოფებს აძლევენ მუშებს. ისინი გადავიდნენ რევოლიუციონური ხალხის მხარეზე. თეთრი გვარდია ერთის დაკვრით განადგურდა. ინგლისში რევოლიუციამ გაიმარჯვა. ინგლისი საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. მაგრამ ამ დღიდან უკვე იწყება ინგლისის ეკონომიური კრისი წინახედლში „მოკავშირეებმა" რევოლიუციონურ ინგლისს ბლოკადა გამოუცხადა, ინგლისის კაპიტალისტებიც ასე იქცევიან კოლონიებიც, ინგლისის სავაჭრო გემები უცხოელთა ნავთსადგურებში გაიქცნენ. ინგლისი უპუროდ არის... შიმშილია. შიმშილია... მუშათა მთავრობა უძლურია ებრძოლოს შიმშილსა... არსაიდან შველა არ არის. სამი თვე გრძელდება ომი შიმშილსა და რევოლიუციის შორის. პროლეტარული მთავრობა ეცემა სამი თვის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ სიმშილის წინააღმდეგ და კონტრ-რევოლიუცია იმარჯვებს, ლონდონში ბრუნდება მეფე მთელი თავისი ამალით. აპობოკრატებული ტემპით შეუდგნენ რეკტავრაციას, მაგრამ წარსულის აღდგენა შეუძლებელი ხდება. ინგლისის მუშებმა გადაიტანეს შიმშილი, მაგრამ მათ იგემეს თავისუფლება და არას გზით არ დასთანხმდებიან ძველის დაბრუნებამი. არა, ძველი ვეღარ აღდგება. ამას ვერ უშველის ვერც დახვრეტა, ვერც ციხეები და ვერც პრემიერის თაღლითობა. ყოველივე ეს უზედეგოა. მუშებს არა სურთ იყონ მონები და ისინი ახალს რევოლიუციას მოახდენენ. ეს მეორე რევოლიუცია მოხდება 1925 წელში და თავისი სისასტიკით გადააჭარბებს პირველს. მაგრამ ისიც დაეცემა სიმშილობის გამო და ახალი კონტრ-რევოლიუცია უსაზიზღესი იქნება.

ამ გვარად ჩვენ შევედით რევოლიუციისა და კონტრ რევოლიუციის ციკლში. ძველი ვეღარ აღდგება. დაირღვა მშვიდობიანი ცხოვრება. იქნება ბრძოლა, ომი, სიმშილი, გადაშენება.

დაიღუპება ცივილიზაცია, კულტურა. ასი წლის შემდეგ კაცობრიობა კვლავ დაუბრუნდება მე-13 საუკუნეს. ჩვენ მივდივართ უკან საშუალო საუკუნოებისკენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპის ცივილიზაციამ მიაღწია თავის უმაღლეს აპოგეის. 1914 წლიდან დაიწყო დაქანება. ეს ომი ველურდება. ამის შეჩერება შეუძლებელია. ასი წლის შემდეგ, ჩვენ ვიქნებით მე-13 საუკუნეში და მხოლოდ 800 წლის შემდეგ, ჩვენ დავბრუნდებით მე-20 საუკუნის დასაწყისს. (იხ. „Красная Новь" № 1.)

ასეთია შინაარსი იმ საინტერესო რომანისა, რომელიც ინგლისის ბურჟუაზიული ინტელიგენციის სულისკვეთებასა და წარმოდგენებს გვიშლის. მაგრამ ეს რომანი დამახასიათებელია მით, რომ იგი გვიხატავს მთელი ბურჟუაზიული ევროპის დღევანდელს განცდებს. ბურჟუაზია რევოლიუციის მოლოდინში კანკალებს, მას არ აქვს გამოსავალი გზები და შეგნებულად ითვალის წინებს თავის დაღუპვის დღეებს. ბურჟუაზიის ბატონობის დღეები უკვე დადგა, მაგრამ ამ ბატონობის მოსპობასთან ერთისპობა მთელი კულტურა, ისტორიული ცხოვრების მიერ შექმნილი ცივილიზაცია და დოვლათი. დაშინებული ბურჟუაზია თავისი დაღუპვის დღეებს ცივილიზაციის დაღუპვას უკავშირებს. მაგრამ დამფრთხალ, შეშინებულ და ჭკუა არეულ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის აზროვნება ვერ გამოდგება მსოფლიოს მომავლის დიაგნოზის დასმის დროს. კაპიტალისტური კულტურისა და მთელი თანამედროვე ცივილიზაციის შეფასებისას ბურჟუაზიული ინტელიგენციის მთელი რეცეპტები მხოლოდ არქეოლოგიურ ნაშთად გადაიქცევა. ეს ნაშთები მომავალს მკვლევარს საუცხოვო მასალას მისცემს იმის შესახებ, თუ რას გრძნობდა და ფიქრობდა დამფრთხალი ბურჟუაზია დიადი გარდატეხების წინა დღეებში.

თანამედროვე რევოლიუცია ნიშნავს არა ცივილიზაციის დაღუპვას საერთოდ და პროგრესის შეჩერებას, არამედ თანამედროვე ცივილიზაციის გაწმენდას ყალბი ელემენტებისა და პარაზიტულ ბაცილებისაგან. დაავადებულ სხეულში მავნე ელემენტების ჩაკვლა ორგანიზმის გაჯანსაღებას უდრის, ეს არ სურს დაინახოს ბურჟუაზიას და სულიერ სასოწარკვეთაში მყოფი ვერ არჩევს ერთს მოვლენას მეორისაგან.

სიმონ ხუნდაძე.

სმის მენშევიკების სტამბოლში გადასახლება იმიტომ, რომ იქიდან სურთ ანტანტის ჯარების დახმარებით რუსეთის რევოლიუციის დასამარება და კვლავ თავიანთი ბატონობის აღდგენა, მაგრამ თქვენ, რომელთა აზრებიც რევოლიუციამ გაამართლა, რომლებიც არ ყოფილხართ პოლიტიკურ ბატონ-პატრონები არც რუსეთში და არც საქართველოში, თქვენ რომელთაც გაინტერესებდათ არა პოლიტიკური ბატონობა, არამედ სამსახური ერისა და რევოლიუციისადმი, თქვენ რომელთაც არ შეგიძლიათ ერთის წუთითაც კი დაუშვათ, რომ ანტანტის ჯარების გამარჯვება გინდ საქართველოს გინდ რევოლიუციას რაიმე სარგებლობას მოუტანს, რად გადასახლებულხართ მენშევიკებთან ერთად სტამბოლში და რად გვებრძვით იქიდან ჩვენ, რომელთაც თქვენ გვასწავლეთ რევოლიუციის სამსახური, რომელთაც თქვენ გვასწავლეთ მისთვის თავის დადება, რომელთაც თქვენ ჩაგვინერგეთ სიყვარული ერისა და სამშობლოისა და, რომელნიც აქ ჩვენს სამშობლოში დავრჩით, რათა შეძლებისდაგვარად ვემსახუროთ როგორც ქართველი ერის, ისე რევოლიუციის ინტერესებს და რომელთაც გადაწყვეტილი გვაქვს არას დროს არ გავშორდეთ საქართველოს მიწა-წყალს და აქ ვაჩვენოთ ჩვენი ძალდაწყობა ყოველთვის, რა პირობებიც არ უნდა შეიქმნას ჩვენს გარშემო?

ი. გ—ა.

(დასასრული იქნება).

# ახალი ამბები

— **საფონდო ბირჟა.** თებ. 20 საფონდო ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოიხატება შემდეგში: (ათ. მან.)

| | |
|---|---|
| სტერლინგი | 1000 |
| დოლარი | 250 |
| ოსმ. ქაღ. ლირა | 185 |
| მარკა გერმ. | 1,6 |
| ფრანკი | 23 |

— **საქართველოს საბჭოთა 1-ლი ყრილობის** დღის წეს-რიგი: 1. საბჭოთა საქართველოს საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა. 2. ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული გაერთიანება. 3. ახალი ეკონომიური პოლიტიკა. 4 ს. ს. ს. რ. სახალხო კომისრების მოხსენებანი. 5. საშიმილი ვოლგის მხარესა და საქართველოში. 6. ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის დამტკიცება. 7. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის არჩევანი.

— **აფხაზეთის საბჭოები.** გაიხსნა სრულიად აფხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ყრილობა, რომლის უმეტესობას შეადგენენ კომუნისტები.

— **სახადის და ყვავილის ეპიდემია.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ განყოფილების ცნობით 30 იანვრიდან 15 თებერვლამდე გახდა ავად ტფილისში სახადით 292, ყვავილით 346.

— **ბათომის ნავთსადგურში** 13, 14 და 15 თებ. ნავთსადგურში მოვიდა: იტალიის გემი—„კარნარო", „დურო" და „ტადლა" 512 ტონა ტვირთით და 76 მგზავრით, ორი იალქნიანი ნავი სხვა და სხვა ტვირთით, 11,300 ფუთ. ამავე დღეებში ნავთსადგურიდან გავიდა: რუსეთის გემი „იგნატი სერგეევი" ადესაში. იტალიის „დურო" ფოთში სხვა და სხვა ბარგით, 13,200 ფუთის რაოდენობით და 402 მგზავრით. 16—20 თებ. განმავლობაში მოვიდა: რუსეთის გემი „პესტელი" 6,200 ფ. ბარგით და 844 მგზავრით.

იმავე ხნის განმავლობაში წავიდა ნავთსადგურიდან: იტალიის გემი „კორნარო" კონსტანტინეპოლში 1000 ფუთი ტვირთით და 35 მგზავრით და 4 იალქნიანი ნავი, 356 ფ. ტვირთით. საერთოდ იდგა ნავთსადგურში თებ. 20 დამის 12 საათზე. გემი—8 და იალქნიანი ნავი —76.

— **პროფკავშირთა კლუბში.** თებ. 18-ს გაიმართა მეორე სადამო პროფკავშირებისა, რომლის განსაკუთრებული ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ მთელი პროგრამა წარმატებით იქნა შესრულებული თვით მუშების მიერ, რომლებიც არიან პროფკავშირის წევრები.

— **საბავშვო გამოცემა.** განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ განყოფილებასთან არსებულ საბავშვო გამომცემლობა უკანასკნელ ხანებში აფართოებს თავის მოქმედებას ფერადი ახალ. [illegible] ლი წიგნების გამოცემით.

სოციალური აღზრდის მთავარ განყოფილების სარედაქციო კოლეგიამ განიხილა და დაადგინა სახელმწიფო გამომცემლობას შემდეგი წიგნები: ბუნების მეტყველების ისტორიიდან: 1) მზე, მთვარე და ვარსკვლავები, 2) როგორ იცავენ ცხოველები თავს მტრებისაგან. ბელეტრისტიკა: ხალხური ზღაპრები, გადაკეთებული ბავშვებისათვის, 2) „ტყის ზღაპარი" მამინ სიბირიაკის, 3) „იგავ-არაკები და ანეგდოტები"—მერიხაშვილის, 4) ლექსების კრებული—ქუჩიშვილის, 5) ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვანთათვის და 6) „ჯეჯილი"—მოზრდილთათვის.

იბეჭდება სტამბაში: „ტროას ომი"—მიქაბერიძე, „ხალხური ზღაპრები ბავშვებისათვის", დედა-ბერი, ტურა და მელა".

დაბეჭდილია მცირე წლოვან ბავშვებისათვის: 1) „შემოდგომა"—კრებული, 2) „მოძრავი თამაშობის კრებული" მზადდება დასაბეჭდათ: 1) „სამი ატლასი",—ცხოველები, ფრინველები და მცენარეები, 2) პედაგოგიური ლოტო, 3) ჩვენი მწერლების ნაწარმოები, 4) გაზაფხული და ზაფხული, 5) მეორე ნომრები—„ნაკადული" და „ჯეჯილი". სოციალურ აღზრდის მთავარ განყოფილების განყოფილებამ გამოითხოვა საქართველოს რევკომიდან ბავშვთათვის გამომცემლობის გასაძლიერებლად ერთი მილიარდი მან. (1,000,000,000).

# რუსეთი

**მოსკოვი.** 19 თებ. სამარის გუბერნიაში დაშვებულ ბავშვში სიმშილმა შექმნა პირუტყული გრძნობები, რომლის გავლენით მშიერნი ისწრაფვიან სჭამონ ყოველივე, რასაც მოჰკრავენ თვალს. განსაკუთრებით საშინელია მდგომარეობა პუგაჩევის და ბუზულუკის მაზრებში. სოფ. [illegible], მაგალითად, პური არ არის უკვე აღდგომიდან და ამ ხნის განმავლობაში გლეხები იკვებებიან მხოლოდ ბალახით, ცხენის, ძაღლის და კატის ხორცით, დაფქულ ძვლებით, 2,500 ცხენიდან სოფელში დარჩა მხოლოდ 10.

უფის გუბერნიიდან გამზადებულია გამოსაყვანად 115,000 ბავშვი. გამოყვანილია 4,300 ანუ 4 პროც. ამ უამად უფაში ზის 20,000 ნახევრად ტიტველი ბავშვი სხვა ადგილებში გასაგზავნად, რომლისათვის მოსკოვიდან გაგზავნილია ორი მატარებელი, მაგრამ იგი არ კმარა. ქალაქს აწუდება ყოველ დღე 200 ბავშვი. მშობლებს მოჰყავთ ისინი და სტოვებენ ქალაქში. 500,000 ბავშვიდან საზრდოობს მხოლოდ 21 პროც. მოზრდილთაგან სარგებლობს საკვებით მარტო 100 კაცი. აიმ მილიონიდან მოკვდა 25 ათასი. აუცილებელია დაუყოვნებლივი დახმარება.

**ვორონეჟი.** 16 თებ. სიმშილი დებულობს საშინელ ხასიათს. ქობი იყიდება ვედრო კომბოსტოზე. ოსტროგოჟსკის და ბოგუჩარსკის მაზრებში შეჭმულია ყველა ძაღლი და კატები.

**ცარიცინი,** თებ. 16. მეტყველთა საგუბერნიო ყრილობაზე გამოირკვა, რომ მთელ გუბერნიაში, სოფლისა და რაიონის რამდენიმე ვერსზე ტყავ-გამძვრალის ხეები დამშეულების მიერ.

**მოსკოვი,** თებ. 19. სარატოვის, ნიკოლაევის, პეტრე-პაველის და სულიწმინდის მონასტრის საყდრებმა გადაწყვიტა გადასცეს საეკლესიო საუნჯე დამშეულთა სასარგებლოდ, გარდა აუცილებელ საგნებისა.

სამარაში მუშათა ფართო კონფერენციამ დაადგინა: მოხმარებულ იქნას საეკლესიო ქონება დამშეულების საჭიროებისათვის.

**სამარა,** თებ. 16. სამარაში მივიდა ხალხთა ლიგის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იმყოფება ინგლისის პარლამენტის წევრი გურვანდი. დელეგაცია დაესწრო სამარის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომას. ანტონოვ-ავსეენკომ მიმართა დელეგაციას განცხადებით, რომ ხალხთა ლიგის დელეგაციაში იგი ესალმება იმ წრეებს უცხოეთის საზოგადოებისა, რომელიც ფიქრობენ ბოლოს და ბოლოს დამშეულთა დახმარების შეგნებამდე. ჩვენი მდგომარეობა,—სთქვა ანტონოვმა, ძლიერ მძიმეა. სიმშილობის ნიადაგზე ვითარდება მკვლელობის ჭამა. ზოგიერთ ადგილებში კიდეც სჭრიან ადამიანებს და ჭამენ. ჩვენ არ ვმალავთ ჩვენს მდგომარეობას, რადგან ამის პასუხისმგებლობას ვაკისრებთ უცხოეთის კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომელმაც უგულოდ დიდი ბოლო დასტოვეს ჩვენი მოწოდება დახმარების შესახებ.

დელეგაციის სახელით ილაპარაკა გურვინმა, რომელმაც სთქვა „ჩვენ მოვედით აქ იმისათვის, რომ გავეცნოთ თქვენს მდგომარეობას ადგილობრივად. ვიმედოვნებ, რომ ევროპაში დაბრუნებისას, ჩვენ მივაღწევთ გაძლიერებას და დახმარების შესახებ საკითხის ფართოდ დასმას.

დელეგაცია გაემგზავრა ბუზულუკის მაზრაში, დამშეულთა მდგომარეობის გასაცნობათ.

**მოსკოვი,** 18 თებ. 13 თებ. ხარკოვში გაიხსნა სრულიად უკრაინის საერობო თათბირი. სახ. სასურსათო კომისარმა ვლადიმიროვმა აღნიშნა, რომ ყრილობა არის დასაწყისი უკრაინის სერიოზული ეპოქის. ყრილობაზე მოვიდა 151 დელეგატი, აქედან 95 გადამწყვეტის ხმით.

მოსკოვი. „იზვესტია" მოწინავე წერილში კითხულობს: ვინ დაყარა იარაღი? და ირწმუნება, რომ რუსეთმა კი არა ევროპამ დაყარა იარაღი, მეტადე საფრანგეთმა, ვინაიდან თითონ ის ფაქტი საბჭოთა მთავრობის მიწვევისა გენუას კონფერენციაზე ეთანასწორება საბჭოთა რესპუბლიკას წინასწარ იურიდიულ აღიარებას, ცნება რა მერე იმ „გარანტიებს", რომლებსაც დაჟინებით მოითხოვს საფრანგეთი და რომლებსაც იგი გენუას კონფერენციის მოწვევის წინასწარ პირობათ სთვლის „იზვესტია" სწერს; რაც შეეხება პოლიტიკურ-ეკონომიურ ბაზისების გარანტიებს, როგორიცაა, მაგალითად, მოთხოვნა ვაჭრობის ტრიალის თავისუფლებისა, კერძო ინიციატივისთვის ფართო გზისა, დახარჯულ კაპიტალების უზრუნველყოფისა და სხვა,—ყველა ეს პრინციპები კანის კონფერენციამდე კარგა ხნის წინ აღიარებულ და გამოცხადებული იყო საბჭოთა მთავრობის მიერ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში. არც ამ ახალ [illegible] პოლიტიკამდე უარჰყოფდა ამ პრინციპებს საბჭოთა ხელისუფლება (მაგალითად, როცა იგი ჰპირდებოდა ევროპის კაპიტალს კონცესიებს და სხვა) ქართულია, საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა ძველი ვალები, გაარღვია ბურჟუაზიის ქონება, მაგრამ ეს სულაც არ ჰბოჭავდა იმას, რომ იგი წინადადებას უყოყმანოდ ახალ ვალდებულებების გადახდას ან ახალ სესხების აღებას, რომ ძირითადის მიღწეული იყო 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ. ცდილობენ დაამტკიცონ, ვითომ სამეურნეო გარანტიების მიცემა საბჭოთა რუსეთისთვის, წარმოადგენს რაღაცა აძულებით აქტს, დაკავშირებულს გენუას კონფერენციაზე მიწვევასთან. ასეთი მცდარობა უნდა ჩაითვალოს ფარული ბრძოლის ხერხად. თანამშრომლობის ძირითად პირობებს შორის, აღნიშნავს შემდეგ „იზვესტიას" მოწინავე წერილი, არის შიშები, ვითომ მიმართულნი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ეს შიშები უკრაინელებს პირობების დამდებ ორმხრივ მხარეს აწარმოონ პროპაგანდა, მიმართული რომელიმე ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილების დასამხობად. მაგრამ თუ ეს შიშები ვისიმე წინააღმდეგ არ მიმართული, თავდაპირველად ისინი მიმართულია სწორეთ საფრანგეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ და მოისწავლენ მათ სრულს დამარცხებას. საბჭოთა მთავრობას, როგორც მთავრობას, არავითარი პროპაგანდა მთავრობების დასამხობად სხვა ქვეყნებში არასდროს არ უწარმოებია, თავისუფლად არ ჩაერეულა სხვა სახელმწიფოების შინაგან საქმეებში და თუ ზოგჯერ იგი მხარს იყო უხარი დაექირა ოპოზიციონურ პარტიებს, თუ ისინი სხვა სახელმწიფოებში, ესეც მხოლოდ მაშინ, როდესაც იძულებითი იყო აწარმოებდა მათ წინააღმდეგ, ან იგერიებდა მათ დაცემას. ამავე დროს ყველამ იცის, რომ საბჭოთა მთავრობას მის დაარსების დღიდან განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები, თან უსინდისოდ ერეოდნენ მის შინაგან საქმეებში და არავითარ ბოროტმოქმედების არ ერიდებოდნენ ამ ქამად, აღნიშნავს დასასრულ მოწინავე წერილი, საბჭოთა რუსეთმა მიაღწია თავის ძირითად მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სახელდობრ იმას, რომ ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა უარი სთქვეს საბჭოთა რუსეთზე დაცემაზე და აღიარეს მისი უფლება—თავისი ცხოვრების თავისი საკუთარი სურვილისამებრ მოაწყოს.

# უცხოეთი

**გენუას კონფერენციის გარშემო.**

„მანჩესტერ გარდიენი" სწერს: არსებითად საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობებს უკავია ერთნაირი პოზიცია რუსეთისადმი, რამდენად სიტყვა ეხება მომავალს გენუას კონფერენციას. ინგლისი არ დავობს იმის წინააღმდეგ, რომ ძირითადი პირობა საბჭოთა მთავრობის ცნობისა მდგომარეობს საბჭოთა მთავრობის მიერ რუსეთის ვალების აღიარებაში. ამიტომ საკვირველია, რომ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის შორის დამოკიდებულების დროს, დიდ სიძნელეს სწორედ რუსეთის საკითხი წარმოადგენს. კიდეც რომ ეს განხეთქილება იყოს მარტო ფორმალური, მაინც იგი სამწუხაროდ დამახასიათებელია ორი სხვა და სხვა ტემპერამენტის შეტაკებისა—პუანკარესა და ლლოიდ-ჯორჯის შორის. კანაში ლლოიდ-ჯორჯს მიაჩნდა აუცილებელ საჭიროებად რუსეთის მიწვევა გენუაში ყოველივე წინასწარი პირობების გარეშე. და ეს შეხედულება იქმნა გატარებული კანის რეზოლიუციაში. ლლოიდ-ჯორჯს სწამს კონფერენციის გზით გატარებული დიპლომატია მაშინ, როცა პუანკარეს ეზიზღება კონფერენცია და სრულებით გარკვევით გვაგებინებს, რომ მას ურჩევნია გაგზავნოს მოკავშირეთა პირობანი მოსკოვში წერილობითი ფორმით და აწარმოოს დიპლომატიური დამოკიდებულება ომის წინ არსებული საშუალებით.

„დეილი ტელეგრაფი" ამავე საკითხზე ლაპარაკობს: ლონდონსა და პარიზს შორის აღმოჩნდა შეხედულებებში სერიოზული უთანხმოებანი გენუას კონფერენციის მნიშვნელობაზე, სახელდობრ რეპარაციებსა და რუსულ პრობლემაში. ინგლისის აზრით, გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისათვის პირობანი უკვე ჩამოყალიბებულია და მათზე უკვე იყო მითითება შეთანხმების ტექსტში.

ინგლისის აზრით ამ მდგომარეობაში მიღება მოწვევისა უდრის ამ პირობათა მიღებას. მთელი უბედურება იმაშია, რომ გვაქვს რა საქმე ასეთს გაქნილს დიპლომატიასთან, როგორიც არის დიპლომატია ჩიჩერინისა, არ შეგვიძლია იყოთ დარწმუნებული სათანადო სიფრთხილის დაცვაში. ძალიან ადვილად არის წარმოსადგენი, რომ ბოლშევიკური დელეგაცია, გენუაში ჩამოსვლისათანავე ეცდება გაუქმეს დასმულ პირობებს და გამოიწვიოს განხეთქილება საფრანგეთსა და ინგლისის შორის.

**ნეაპოლი.** 17 თებ. იტალიის მთავრობამ აცნობა ლორდ კერზონს, რომ ის თანახმაა გახსნას გენუას კონფერენცია არა 8-ს, არამედ 18-ს მარტს.

**ბორდო.** 17 თებ. საფრანგეთის საუწყებათაშორისო კომისია, არჩეული გენუას კონფერენციის პროგრამის დასამუშავებლად, შეუდგა მუშაობას ოთხშაბათს სეიდუს თავმჯდომარეობით. პირველ სხდომაზე იყო აღნიშნული მუშაობის გეგმა. გადაწყვეტილია არჩეულ იქმნას სპეციალების ქვეკომისიები ეკონომიურ, ფინანსიურ და ტექნიკურ საკითხთა განსახილველად. ქვეკომისიები იმუშავებენ ფინანსთა, ვაჭრობის და საზოგადო სამუშაოთა სამინისტროებში.

**პარიზი.** 17 თებ. ნამდვილი ცნობებით გამოირკვა, რომ პუანკარე მიიღებს პირადათ მონაწილეობას გენუას კონფერენციაში. ყოველ შემთხვევაში პირველ სხდომებზე ის უსათუოდ მონაწილეობას მიიღებს.

**ინდოეთის მოძრაობა.**

პარიზი 16 თებერ. გენ. ტაუნსენდმა განაცხადა, რომ ბრიტანიის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის, აუცილებელია ინდოეთს მიეცეს სრული თვითმართველობა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ინდოეთი დარჩეს დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროში. ტაუნსენდის განმარტებით, ლონდონის მოძრაობა წარმოიშვა არა მარტო იმ მიზეზით, რომ ინგლისის მთავრობამ არ დააკმაყოფილა აქამომდე ინდოეთის ნაციონალისტების კანონიერი მოთხოვნილებანი, არამედ იმიტომაც, რომ მთავრობამ არ დადვა ხელშეკრულება ოსმალეთთან. ტაუნსენდის სიტყვით, საფრანგეთი აწარმოებდა აღმოსავლეთის მიმართ უფრო შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას და შესძლო მოეპოვებინა კეთილ განწყობილება აღმოსავლეთის ხალხის. ლოიდ ჯორჯი დაეთანხმა ტაუნსენდს და მიუთითა, რომ ზავი ოსმალეთთან აუცილებლად იქონიებს ძლიერ კარგს გავლენას ინდოეთის მდგომარეობაზე.

**მოსკოვი.** 17 თებერ. ჰელსინკიდან მოსული ცნობით, ინგლისის მიერ ახალი პოლიტიკური რეპრესიების გამოცხადების დღიდან, რიცხვი დატუსაღებულთა ინდოეთში აღის 17,000 და მარტო კალკუტაში დატუსაღებულია 5,000.

**რომი.** 16 თებერ. ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარი [illegible] თემთა პალატაში საჭიროდ იმ შეკითხვებისა, [illegible] ინდოეთის მდგომარეობას. მონტეგიუმ განაცხადა, რომ კრიტიკული მდგომარეობა ინდოეთში არის შედეგი ბოლშევიკების გაძლიერებული პროპაგანდისა და სურს. ეკონომიური კრიზისის.

**საფრანგეთის ნოტა.**

მოსკოვი 17 თებერ. რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალურად საფრანგეთის ცნობილი ნოტის შინაარსი გენუას კონფერენციის შესახებ. ნოტა იწყება განცხადებით, რომ საფრანგეთს შეეძლო თავის შეკავება კონფერენციაზე ყოველგვარ მონაწილეობისაგან, რომ მოწვევა მიღებული ყოფილიყო პირობებზე, რომლებიც შელახავდა საფრანგეთის ინტერესებს. შემოდგ ნოტა აღნიშნავს, რომ თუმცა 8 იანვრის ჩიჩერინის დეპეშა გამოხატავს საბჭოთა მთავრობის დათანხმებას კანის რეზოლიუციაზე, მაგრამ ეს არ ყოფილა დადასტურებული ოფიციალურად. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ თავის ოფიციალურ პასუხში სრულიად არ იხსენიებს კანის პირობებს. ამიტომ, განაგრძობს ნოტა, რომ საბჭოთა მთავრობას თავის ოფიციალურ პასუხში აღენიშნა, რომ ის არ იღებს მთლიანად კანის პირობებს, მაშინ საფრანგეთი არ გაგზავნიდა თავის დელეგაციას გენუას კონფერენციაზე. თუ საფრანგეთი მიიღებს მონაწილეობას გენუას კონფერენციაზე, ამისთვის არსებითად საჭიროა, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის მოხდეს სრული შეთანხმება მისი პროგრამის გეგმაში. ამიტომ უნდა ვლვაინშნოთ, რომ, რადგანაც კანის რეზოლიუციის პრინციპების განხორციელება პირველი მუხლია ამ პროგრამაში, სასურველი იქნებოდა მოკავშირეების შეთანხმება ამ პრინციპების გაგებაში.

მოსკოვი 17 თებერ. „დეილ ჰერალდის" და „ტაიმსის" ცნობებით ბრიტანეთის მთავრობა კატეგორიულად უარსყოფს კონფერენციის სამი თვით გადადებას, მაგრამ შესაძლებელია, რომ ის დაეთანხმოს ერთი თვის ვადით. რაც შეეხება იტალიას, როგორც ოფიციალურად იტყობინება რეიტერის სააგენტო, ის გადაჭრით წინააღმდეგია კონფერენციის ყოველგვარი გადადებისა და საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იტალიის ახალი მთავრობა გამოიცვლის თავის შეხედულებას. „ჟურნალი" იტყობინება, რომ ინგლისი და ამერიკა არ დაეთანხმება გენუას კონფერენციის სამი თვით გადადებაზე, რადგანაც ორი კვირის მოსამზადებელი მუშაობა სრულიად საკმარისი იქნება კონფერენციისათვის. რომის წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ იტალია, მომხდარ სამინისტრო კრიზისის გამო, წინადადებას წამოაყენებს კონფერენციის გადადებისას, მაგრამ გაცილებით უფრო მოკლე ვადით, ვიდრე საფრანგეთი მოითხოვს.

**რუსეთის მონაწილეობისათვის კონფერენციაში.**

პარიზი, 18 თებერვალი. „ტანი" რუსეთის მიერ გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ სწერს, რომ მას სასურველად მიაჩნია გამოსთქვას ორი სურვილი:

1. იმ დღეს, როდესაც სახელმწიფოები თავიანთ წარმომადგენლების სახით რუსეთის დელეგატების თანადასწრებით შეუდგებიან ბოლშევიკურ რუსეთთან დამოკიდებულების განხილვას და რუსეთის საქმეებს, მათ უნდა მოითხოვონ რუსეთისაგან ცნობილი გარანტიები. გაზეთი თავს ვერ იკავებს ამავე დროს, რომ არ აღნიშნოს, რომ რუსეთი თუ იქნება გაღარიბებული, იგი ვერ შესძლებს ამ გარანტიების მიცემას; და თუ მისცემს, შეიძლება ვიქნეთ დარწმუნებული მათ განხორციელებაში? 2. გენუის მომავალი კონფერენცია იქნება ევროპის 1 ლი კონფერენცია ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ რომელშიაც მონაწილეობს რუსეთი და სადაც რუსეთს შესაძლებლობა ექნება თავის დელეგატების საშუალებით წამოაყენოს ევროპის წინაშე თავის ეროვნული მოთხოვნილებანი და დაიცვას თავისი ინტერესები.

„ტანი" ამბობს, რომ საფრანგეთის საზოგადოებას სწამს საფრანგეთის და რუსეთის ინტერესების შეთანხმების შესაძლებლობა და, მიტომ გაზეთი გამოსთქვამს დებულებას, რომ საფრანგეთმა და რუსეთმა რაც შეიძლება ჩქარა ერთმანეთთან და კეთილ განწყობილებით მისცენ თავიანთი ძალები ერთმანეთის ხალხის საკეთილდღეოთ თანამშრომლობისათვის, პირობების გამოსამუშავებლად.

„მატენი" ეხება გენუის კონფერენციას და უკვეთებს რა კომენტარიებს წინასწარ ეკონომიურ თათბირს, სწერს: რასაკვირველია, ექსპერტთა თათბირმა უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი უმნიშვნელოვანეს საკითხებისა. მაგრამ ყველა საკითხებს, რამდენადაც შეეხება რუსეთთან თანამშრომლობის საკითხი, საფუძვლად უდევს ევროპის იმ კაპიტა

ლების ხელშეუხებლობის გარანტია რომელიც დაბანდებული იქნება რუსეთის წარმოებაში. ევროპის კაპიტალისტები და მწარმოებლები დარწმუნებული უნდა იყვნენ მათ უშიშროებაში, და ამისათვის კი რუსეთის მთავრობამ უნდა იცნოს არა მარტო თავის ვალები და ვალდებულებანი, არამედ აგრეთვე კერძო პირთა საჩივარი სახელმწიფოზე იმ ზარალისა, კონფისკაციისა, სეკვესტრებისა და კერძო პირთა და საზოგადოების რეკვიზიციის შესახებ, რომლებიც მოიდა რუსეთში.

ბერლინი. 26 თებ. „პტი პარიზიენი" იტყობინება, რომ ბრიტანეთის ოფიციალური წრეები ეთანხმებიან პუანკარეს მოყვანილ საბუთებთა საფუძვლიანობას შესახებ მცირე ანტანტის წარმომადგენლების მონაწილეობისა გენუას კონფერენციაზე. გადაწყვეტილება არ მიუღიათ ამ საკითხზე ჯერ-ჯერობით. ჰავასის სააგენტო უარჰყოფს ფრანგული გაზეთის ამ ცნობას და აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობა არ ეთანხმება პუანკარეს შეხედულებას შესახებ მცირე ანტანტისა და გამზადება მოიწვიოს 5 სახელმწიფოს ექსპერტების თათბირი ლონდონში. ამ თათბირზე მიწვეული იქნებიან წარმომადგენელნი უმაღლესი საბჭოისა. თვით თათბირი იწვევა ახლო დღეებში; ამასთანავე მათ ექნებათ მიცემული წინადადება მოკლე დროში დაამთავრონ თავიანთი მუშაობა.

ვარშავა. 16 თებ. გაზეთი „რაბოტნიკი" გადმოგვცემს ლლოიდ-ჯორჯის შემდეგ სიტყვებს, რომელიც წარმოსთქვა მთავრობის პარტიის დიდს სხდომაზე 6.000 მსმენელის თანდასწრებით: —ჩვენო, სთქვა ლოიდ-ჯორჯმა,—ვაჭრების ხალხი ვართ: ამ სიტყვებით იხსნება მთელი სიტუაცია. ვაჭრობა უნდა ყვაოდეს. ბირჟის კურსის მერყეობის გამო, რაც ამტკიცებს ნახევარი მსოფლიოს სიკოტრეს, ჩვენ არ ძალგვიძს გავუძლოთ გერმანელთა კონკურენციას. გიგანტიური რუსული ბაზარი ჩვენთვის არ არსებობს. ასე შემდეგში ვერ გაგრძელდება. აუცილებელია შევუდგეთ მოლაპარაკებას და კიდეც საბოლოვოდ მოვილაპარაკოთ. აუცილებელია გამოვნახოთ შეთანხმების გზები.

ლონდონი. 7 თებ. „ტაიმსი" სკეპტიკურად უყურებს გენუას კონფერენციას: ამერიკის კრიტიკული დამოკიდებულებისა, საფრანგეთის იძულებითი თანხმობისა, იმ იჭვისა და გაზნების შემდეგ, რომელიც გამოიჩინეს ევროპის სახელმწიფოებმა, რომელთაც მიიღეს მიწვევა, იქნებოდა საკვირველი, რომ გენუას კონფერენციას ოდნავად მაინც გაემართლებინა იმედები, დაკისრებული მასზე მის ინიციატორებისაგან. გაზეთი შემდეგ აღნიშნავს რა, რომ არც ერთს სახელმწიფოს რუსეთისა და გერმანიის გარდა არ აქვს გარკვეული გეგმები კონფერენციის შესახებ. იგი დაასკვნის „რამდენად ახლოვდება კონფერენციის დღე, იმდენად დიდი ხდება ის სიბნელე, რომელშიაც ეხვევა გენუა.

პარიზი. 16 თებ. „ტანის" და ფიგაროს" ცნობებით ამერიკის პრეზიდენტმა გარდინგმა გამოსთქვა პუანკარესა და ლლოიდ-ჯორჯთან თავის აზრი შესახებ გენუას კონფერენციის გადადების შესაძლებლობაზე. გარდინგის აზრით არ არის საფუძვლები კონფერენციის მოწვევის გადადებისა.

ვაშინგტონი. 16. თებ. ლონდონიდან მიღებულ ცნობებით ამერიკის მთავრობას აბსოლიუტურად შეუძლებლად მიაჩნია გააგზავნოს წარმომადგენლები გენუას კონფერენციაზე, თუ კი ასეთი შესდგება დანიშნულს დროს ე. ი. 8 მარტს.

ლონდონი. 16 თებ. ჰავასის სააგენტოს ცნობით ინგლისისა და იტალიის მთავრობანი უშვებენ შესაძლებლობას კონფერენციის გადადებისა არა უმეტეს 5 დღისა. საბოლოვო გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა.

ლონდონი. 17 თებ. „ტაიმსი" სკეპტიკურად უცქერის გენუას კონფერენციას: „ამერიკის კრიტიკულად მოპყრობის დროს, საფრანგეთის იძულებითი დათანხმებისა, ეჭვიანობისა შიშის დროს, როდესაც იჩენენ ევროპის ის სახელმწიფონი, რომელთაც მიიღეს კონფერენციაზე მოწვევის ცნობა, საკვირველი იქნებოდა თუ გენუას კონფერენცია ცოტათი მაინც გაამართლებდა იმ იმედებს, რომლებსაც მასზე ამყარებენ მისი ინიციატორები, გაზეთი აღნიშნავს რა შემდეგ, რომ არც ერთ სახელმწიფოს გარდა რუსეთისა და გერმანიისა არ აქვთ გარკვეული გეგმები კონფერენციის შესახებ და ბოლოს სწერს: „რამდენადაც ახლოვდება კონფერენციის დღე, იმდენად უფრო გაუმჭვირვალე ხდება ის ბნელი, რომელიც გარს ახვევია გენუას.

## პალიკო!..

ერთი წელი სრულდება, რაც მიწას მივაბარეთ პალიკო ბეშკენაძე.

ოც თებერვალს უკანასკნელად გავაცილეთ პალიკო ტფილისის სადგურიდან ქუთაისში...

ვინ იყო პალიკო ბეშკენაძე? ქართველ საზოგადოებას პალიკოს სახელი ბევრს არაფერს ეუბნება. არაფერს ეუბნება იმიტომ, რომ პალიკოს ჯერ კიდევ ახალგაზრდას, მაგრამ ყოველი თვისებით შემკულს, არ იცნობდა მთელი საზოგადოებრივი აზრი.

ჩვენ, მისი უახლოესი მეგობრები, ვიცნობდით ამ იშვიათ ახალგაზრდას, მის მთელ მხედველობას დაუმამულიშვილურ ალტკინებას.

პალიკო დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდათა კომიტეტის თავმჯდომარე იყო. იგი უშიშარი და უბადლო ახალგაზრდა გახლდათ, რომელიც საკვირველი ენერგიით ეწეოდა მუშაობას როგორც პარტიულს, ისე აკადემიურს.

პალიკოდან სრულიად სამართლიანად მოველოდით მძლავრ ინტელიგენტს, რომელიც საპატიო ადგილს დაიჭერდა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

გვინახავს პალიკო, როგორც მომწიფებული მოხსენებელი. გვინახავს იგი როგორც დაუნდობელი ოპონენტი, გვინახავს იგი, როგორც გულწრფელი ორატორი და ვნახეთ იგი დასასრულს, როგორც გმირი რაინდი დაკოდილი სასიკვდილო ისრით.

პალიკოს პოლიტიკური ფიზიონომია ნათელი იყო პარტიული ამხანაგებისათვის. მოწაფეთა კონფერენციაზე (როდესაც გიმნაზიას ასრულებდა) იგი გამოდიოდა, როგორც გარკვეული მოწინააღმდეგე პარტიის გაურკვეველი და მემარჯვენე პოლიტიკისა.

გაზეთ „ხალხის მეგობარ"-ში მისი წერილები ამავე ხასიათს ატარებდა და „სახალხო საქმისა" და „ხალხის მეგობრის" წერილთა შორის დიდი წინააღმდეგობა იყო და არა თანხმობა.

პალიკო ახალგაზრდათა კონფერენციაზე 1920 წელში თავისებური გატაცებით, მკვეთრი არგუმენტაციითა და პოლიტიკური შორსმხედველობით იცავდა მესამე ინტერნაციონალის სტატუტებს და მოითხოვდა თანამგრძნობ პარტიად შესვლას ხელოვნებულ ინტერნაციონალში.

ასეთი იყო პალიკოს პოლიტიკური კრედო. მას არ ეშინოდა არც სოციალიზმის, რომლისთვისაც იგი მუდამ იბრძოდა, მას არ ეშინოდა არც რევოლუციის, რადგანაც თითონ უბადლო რევოლუციონერი იყო, მას არ ეშინოდა არც მესამე ინტერნაციონალის, რომლის თანამგრძნობ პარტიად სურდა ჩვენი პარტიის ქცევა, მაგრამ მას ეშინოდა, რომ საქართველოს მტრებს არ უსარგებლა ბოლშევიკური მოძრაობით. ამიტომ, იგი როგორც შეგნებული მამულიშვილი დადგა საქართველოს თავისუფლების სადარაჯოზე მაშინაც კი, როდესაც მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი იყო.

თუ რამდენად მართალი გამოდგა პალიკოს შიში, თუ როგორ გამოძვრნენ ხვრელებიდან საქართველოს მტრები და ერის მიერ დანთებული ცეცხლის ალი მიმართეს მისივე თავისუფლების დამხობისაკენ, ამას მოწმობს ძთელი გასული წლის ისტორია.

გასულ წელს პალიკოს საფლავზედ სტიროდა ქუთაისის ახალგაზრდობა ქვითინებდა ქუთაისის საზოგადოება, წელს კი კვლავ მივალთ პალიკოს წმინდა საფლავზე, მაგრამ არა ტირილისათვის, არამედ ფიცისათვის, ფიცისათვის იმიტომ, რომ გმირთა საფლავზე ფიცს სდებენ ხოლმე და ჩვენც მისი მეგობრები შევფიცავთ მას და ვეტყვით—უბადლო მამულიშვილო, საამაყო გმირო! შენი მხედველობით ვიბრძვით დღეს საქართველოს თავისუფლებისათვის, მაგრამ თუ დადგა საბედისწერო ჟამი, თუ რომელიმე ძალამ მოინდომა საქართველოს თავისუფლების გაქარწყლება მაშინ პირველი ტყვია გასროლილი საქართველოს მტერთა მიმართ იქნება შენი ამხანაგებისაგან.

განისვენე დირსეულო მამულიშვილო, ახალგაზრდათა კავშირი ამაყობს შენი ბრძოლით, იგი შენს საფლავზე ფიცსა სდებს, მაგრამ მაინც დაგტირის საყვარელო პალიკო რომ დღეს, როდესაც პარტიაში შენმა ფრთამ გაიმარჯვა, როდესაც კიდევ ჩვჭირდება შენი გამოცდილება მუშაობა და თავდადება, ჩვენთან აღარ ხარ.

შენი ამხანაგები.

## საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტმა თავის 15 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: დამშეულთა დასახმარებელ ფონდის გასაძლიერებლად დაუყოვნებლივ შემოღებული იქნეს შემდეგი გადასახადები: დასავლეთ ევროპიდან შემოტანილ საქართველოს ბანკების და ნოტარიუსების ყოველგვარ ხელშეკრულებაზე პროცენტული გადასახადი. სათანადო ინსტრუქციის საწყობლად გამომუშავება დაევალოს ფინსახლკომს ამხ. სვანიძეს. გადასახადი ღვინოზე, საგანგებო მარკების საშვალებით ურომლისოდაც არ ექნება უფლება არავის გაჰყიდოს და იყიდოს ღვინო; ინსტრუქციის გამომუშავება დაევალოს აქციზთა მთავარ სამართველოს. შემოღებული იქმნეს განსაკუთრებული სატოსტო მარკები, ურომლისოდაც არ გაიგზავნება კორესპონდენციები: ინსტრუქციის გამომუშავება დაევალოს ფოსტა ტელეგრაფისსახალხო კომისარიატს. აგრეთვე დაედოს ერთ დროული ბეგარა რესპუბლიკის მცხოვრებთა შეძლებულ ნაწილებს: ვაჭრებს და სხვ. ა მთელი შემოსავალი აღნიშნული გადასახადებისაგან გადაეცეს დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

ხამდლეული დამშეულთა სახარგებლოდ.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა თავის 15 თებერვლის სხდომაზე აირჩია დამშეულთა სასარგებლოდ მთელი საქართველოს რესპუბლიკაში სამდლიურის მომწყობი კომისია, რომელშიაც შედიან: ნ. მახარაძისა, გასვიანი ნ. ნაკაშიძისა, მ. ფრანზიანისა, ვ. ჯაფარიძე, ზ. ოჯვენიკიძისა. მ. ბარტონი, მ. ჰარისი, მ. იაროუ. მ. გაბაევისა, ქ. ამირაჯიბი. მ. გველესიანი, ქ. დუმბაძისა, მ. ენვერი, ზ. დადიანი, დამ. ბერიძისა.

კომისიის პირველი სხდომა შესდგება კვირას, 19 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ბინაზე.

## მოწერილი ამბები

საბჭოთა არჩევნები ზუგდიდის მაზრაში. ზუგდიდის მაზრაში საბჭოთა არჩევნები უკვე დასრულდა. სამაზრო ყრილობა მოხდა თებერვლის 8-ს. ყრილობას დაესწრო 100-დე დელეგატი. მათ შორის 81 კომუნისტი, 10 მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი, 8 მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერი და 1 უპარტიო.

პრეზიდიუმის არჩევნების შემდეგ კრებამ მიიღო „დღიური წესრიგი; ყრილობამ განიხილა სხვათა შორის, შემდეგი საკითხები: სამაზრო საარჩევნო კომისიისა, რომლის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ლომაია. მოხსენებიდან ირკვევა, რომ კომისიას შესაფერისად უმუშავნია და შედეგებიც შესაფერი გამოიდო.

მომენტისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. გეგეჭკორმა. მოხსენება შინაარსიანი იყო და დაწვრილებით გადმოგვცა თანამედროვე კითხვები, რომელნიც ეხებიან საბჭოთა რესპუბლიკების შინაგან და საგარეო პოლიტიკაზე. მომხსენებელი შეეხო ახალ ეკონომიურ პოლიტიკასა და ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხს. ყრილობამ მიიღო შესაფერისი რეზოლიუცია.

მემარცხენე სოც. ფედერ. ფრაქციის სახელით დეკლარაციით გამოდის ამხ. მიხ. კაკულია, რომელიც ხაზს უსვამს ძველი პარტიის რევოლიუციონურ ბრძოლის ისტორიას სოციალიზმისა და ჩაგრულ ერთა თავისუფლების პრინციპებისათვის. ამხ. კაკულია აღნიშნავს, სხვათა შორის, რომ ვინც იცნობს სოც. ფედ. პარტიის ისტორიას „თავიდანვე, მისთვის ბუნებრივია, რომ მემარცხენე სოც. ფედერალისტებისთვის საბჭოთა სისტემა ახალი არ არის. მემარცხენე სოც. ფედ. პარტია სრულებით სდგას საბჭოთა ნიადაგზე და მას ეს ფორმა სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა მიაჩნია ერთად ერთ შესაძლო ფორმად მუშათა და გლეხთა ბატონობის განსახორციელებლად. ამის შემდეგ მოხსენებას აკეთებს სამაზრო რევკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ციმინტია რევკომის მოღვაწეობის შესახებ.

მოხსენებების დასასრულ ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც სცნობს რევკომის მოქმედებას დამაკმაყოფილებლად და უსურვებს ახალ აღმასკომს ნაყოფიერ მუშაობას.

რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ ყრილობამ მოახდინა აღმ. კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები. აღმასკომში არჩეული არიან: სანდრო ეზირია ლადო ციმინტია, გ. მოლაშხია ი. შონია, ქებურია, გარდავა არჩილ, ე. როდონაია, ბეჟვაია, კ. კობახიძე (მემარცხენე ს. ფ.) ი. ცხაკაია, ე. ეზირია ბ. ადუაძე, ე. ჯაკონია, როგავა და ვ. ჩხეიძე.

დელეგატებად საქართვ. საბჭოთა ყრილობისათვის იქნენ არჩეულია ს. გეგეჭკორი, ე. ციმინტია, ა. ფარავა, ვ. ქვარაია, იზორია, მ. მამფორია, გ. როგავა, კუხალაშვილი, ი, ცხაკაია. ჯაკონია, ბუკია, პ. მეუნარგია, მ. კაკულია (მემარცხენე ს. ფ.) და მოლაშხია.

## ხელოვნების სასახლიდან

ხელოვნების სასახლეში წარსულ ხუთშაბათს იპ. ვართაგავამ წაიკითხა მოხსენება გრიშაშვილზე.

გრიშაშვილი თავისი რაობით, ამოუწურელი თემაა.

ამიტომაც იყო, რომ მომხსენებელი მოუმზადებელი გამოვიდა და გრიშაშვილი, მთელი თავისი მოდერნისტობით, ვერ დაახასიათა. ლექტორი არ შეეხება მის მეორე ტომს, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სარჩევი წაუკითხავს.

მან წაიკითხა ის ძველი წერილი, რომელიც დასტამბა 1916 წელს ბ-ნ ხომლელის ჟურნალ „ცხოვრებაში".

მეორე ტომი კი, რომელშიაც ოცი წლის საუკეთესო ნიმუშებია მოთავსებული, კრიტიკოსისთვის ძვირფასი მასალაა გრიშაშვილის თანდათანობითი განვითარებისთვის.

მეორე ტომი ისე მდიდარია, რომ შეიძლება მომხსენებელმა იქიდან მხოლოდ ერთ-ერთი ლექსი ამოიღოს და მთელი მოხსენება ააშენოს ამ ლექსზე. მაგრამ გრიშაშვილს გაგება უნდა.

მართალია გრიშაშვილი თითქმის ყველას უყვარს, მაგრამ მაინც თანამედროვენი მას ვერ დააფასებენ ისე სავსებით, როგორც ეს მოხდება მერე. გრიშაშვილი ჩვენს ახალ მწერლობაში დიდი მოვლენაა, და ეს მომხსენებელმაც აღნიშნა, როცა სთქვა, რომ „გრიშაშვილს იმდენი არ დაუწერია, რაც მასზე დაწერილა"!

მაგრამ გრიშაშვილს ბევრი მტერი ჰყავს—და ეს არის მისი ღირსებაც სხვათა შორის. პოეტი კლასიკი არ უნდა იყოს. პოეტი ყველას არ უნდა მოსწონდეს. ფილოსოფოსი დიდრო ამბობს: „თუ ჩემს წიგნს მლანძღველებიც ჰყავს, სჩანს—უფრო კარგია! ხუთმეტი წელია, რაც სჩქეფს გრიშაშვილი და ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში, თავისი პოეზიის ჯენტლემენობით ყოველთვის ინტერესს აფართოვებს ქართველ ინტელიგენციისთვის.

მაგრამ დამახასიათებელია ერთ ჯგუფის „გამოსვლები". ამ ჯგუფის საქმე ბოლო ხანებში ალბად ძალიან ცუდათაა, რომ მათ საპოლემიკოთ გამოგზავნეს მხოლოდ ტ. ტაბიძე. გრიშაშვილის ლანძღვით ბევრი ცდილობს სახელის გაკეთებას ალბად ამ სახელს ტაბიძეც ეძღაუქებს. მაგრამ ამ ჯგუფს კერძო მიზეზები რომ არ აინტერესებდეთ და კამათი რიგიანად შეეძლოთ: ყოველთვის შეიძლება „პატიოსან მტერთა" შორის დაცული იქნეს „ნამუსი"... მაგრამ ამ ჯგუფს ეშინიათ გრიშაშვილის და ისინი, ამ თავის ყოფილ ამხანაგზე, იმდენს ლაპარაკობენ, როგორც არავისზე.

მარუთა შუამდინარელის პოლემიკა ცნობილია ამ ჯგუფთან, და ცხადია რამდენად არა სასურველი უნდა იყოს ჩვენთვის, ახალგაზდებისთვის, გრიშაშვილის შესახებ ასე თავის აგდება.

სადამოზე [illegible] თავმჯდომარეს — კ. [illegible]ძეს — არ უნდა დაეშვა, მაგრამ არ შემიძლიან მადლობა არ მოვახსენო [illegible]შვილს, [illegible] შენიშვნით [illegible] ნებელის თემას ხორცი შეასხა.

კარგი იყო იპ. ვართაგავას საპასუხო სიტყვა.

ჩ. ხ.

## თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„ფაუსტი"

ამ ქამად ოპერა „ფაუსტი" ახალი შემადგენლობით იქნა დადგმული. არავითარ შემთხვევაში დადგმა სასურველად ვერ იქნება მიჩნეული, იმ მოთხოვნილებების მიხედვით, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს სახელმწიფო საოპერო სცენამ.

მე ამას ვხსნი არა იმით, რომ მოქ. ზალიპსკი, რომელიც ასრულებდა ფაუსტის პარტიას ხმაზე არ იყო და ძალის ატანდა (მესამე აქტის trio) და არ ქონდა ჩვეულებრივი bel canto (კავატინა და დუეტი მარგალიტასთან), არა იმით, რომ მოქ. საბინინი (მეფისტოფელი) თითქმის ნახევარი ხმით მღეროდა (სერენადა) და სცენიური გადმოცემის გეგმაც სულ სხვაგვარია, არა იმით, რომ მოქ. ლეკიშვილი (ვალენტინი) ასრულებდა ჩვეულებრივი ეფექტებით (ხმის ტემბრის კვლა სიმღერის დროს), მოქ. ზალიპკი და საბინინი პირველ ხარისხოვანი მსახიობებია და შესრულების აღნიშნული უარყოფითი მხარეები—ანაზდეული ხასიათისაა.

ცუდი ასრულება აიხსნება ორკესტრის ცუდი აკომპანიმენტით (არ იყო სისწორე, ტაქტი, ნათელი მელოდიური სურათი) და უმთავრესად, ცუდი დადგმით: 1) გამოტოვებულია ოპერის საუკეთესო ნაწილი—სცენა ეკლესიასთან, 2) გამოტოვებულია მესამე აქტის დასაწყისი, ჯარისკაცების ხორო და მარში, 3) გამოტოვებულია ვალპურგიის ღამის მთელი ვოკალური ძალა და ცეკვაც კორდებალეტით სხვათა შორის იყო.

საკვირველია ასეთი მოპყრობა დაუშვებელია სანიმუშო სცენაზე, თუმცა, სამწუხაროდ, ეს პირველად არ ხდება; ასევე იყო ოპერა „კარმენში", სადაც გ[illegible]ები კონტრაბანდისტების კვარტეტი.

ფაუსტში კარგად თამაშობდა და მღეროდა მოქ. სოკოვა (მარგარიტა). მარტამო ნემანის გადმოცემაში სასაცილო სახეს იღებს, მომღერალი ქალიც აზარებს.

პ. ბ.

## ღია წერილი

„ცისფერ ყანწების" გაზეთ „ბარრიკადის" უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია შ. კარმელის წერილი: „ბატონიკამდებზე". გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებ, რომ მე ამ წერილის შესახებ წინასწარ არაფერი ვიცოდი, და არც ვიზიარებ ბეჭდებულ წერილს, განსაკუთრებით, წერილის უკანასკნელ სტრიქონებს.

რაჟდენ გვეტაძე.

## ჩვენი ფოსტა

პარტიულ ორგანიზაციებს. მთავარი კომიტეტის დადგენილებით, პარტიის ყველა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან იყოლიონ პასუხისმგებელი პარტიული კორესპონდენტები. წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ ასრულონ ეს დადგენილება და დანიშნოთ კორესპონდენტი, რომელიც სისტემატიურად მოაწვდის პარტიულ ორგანოს ცნობებს ადგილობრივი ცხოვრების ვითარების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმშილის საკითხს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

დაჰკარგე ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა ზ მატრიკული ვლადიმერ, ჩირაძემ. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. 144